



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 215

ქალაქი ქუთაისი

25

ნომბერი

2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, მოქალაქე ნინო ძიმიგურისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და მოქალაქე ნინო ძიმიგურის 30.09.2015 წლის N9303/01 განცხადების შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, ნინო ძიმიგურისათვის /პირადი N60002010157/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N18-ის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გზის ნაწილის /ფართობით: 4.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.31.396/ 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 14.02.2015 წლის N68 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუნდის“ მიერ დადებული 02.04.2015 წლის N247 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 400.0 (ოთხასი) ლარს.

**მუხლი 3.** მოქალაქე ნინო ძიმიგურმა /პირადი N60002010157/ სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს კიბის უჯრედის მოსაწყობად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მუშაობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 7.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია